№2720 2015 წლის 18 დეკემბერი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მიეცეს უფლება, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და საწვავის ხარჯის შემცირების, ასევე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების, ქალაქ თბილისის ცალკეული ქუჩებისა და მოედნების სატრანსპორტო კვანძებზე საგზაო მოძრაობის მონაწილეების ნაკადების კომპლექსური შესწავლისა და სარეკონსტრუქციო-საპროექტო სამუშაოების შედგენისათვის დასკვნის მომზადების მომსახურების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებიდან, 40 000 (ორმოცი ათასი) ევროს (ეკვივალენტი ლარებში) ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**